

## რა საჭიროა წრფელობითი ბრუნვის აღდგენა?

ავტორი ვახტანგ მალრაძე

არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ელფოსტა: [vakhtang13@yahoo.com](mailto:vakhtang13@yahoo.com)

მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა სალიტერატურო ენამ განვითარების საინტერესო გზა განვლო. ძველ ქართულში, ახალი ქართულისაგან განსხვავებით, გამოიყოფოდა ბრუნვა, რომელსაც წრფელო-ბითი ეწოდება. ეს ბრუნვა უნიშნოა, იგი სახელის ფუძეს წარმოადგენდა. „წრფელობითი ერთი უძველეს (პირველ) ბრუნვათაგანია. ქართული ენის განვითარებაში იყო დრო, როცა არ არსებობდა სახელობითი ბრუნვა, მაშინ მის როლს წრფელობითი ასრულებდა“ (იმნაიშვილი 1957, 638).

მივაქციოთ ყურადღება, რომ წრფელობითი გამოიყენებოდა, როცა სახელობითი ჯერ კიდევ არ არსებობდა, ხოლო სახელობითის გაჩენის შემდეგ მისი აქტიურობა შემცირდა და შემდგომ სრულიად გაქრა.

აღსანიშნავია, რომ ენის განვითარებამ მოითხოვა ზოგიერთი ბრუნვის გაჩენა, ზოგიერთის გაქრობა. დროთა განმავლობაში სწორედ წრფელობითი ბრუნვა გაქრა ნელ-ნელა.

ძველი ქართული ამ ორი ბრუნვის ურთიერთობის სწორედ იმ მდგომარეობას ასახავს, როცა სახელობითი კარგა ხანია ჩამოყალიბებულია, წრფელობითი კი თანდათან გადის ხმარებიდან (იმნა-იშვილი იქვე).

მიუხედავად იმისა, რომ ოცდაათიოდე წლის წინ პროფ. ნ.ჭუმბურიძემ ეს საკითხი შენიშნა და სათანადო შეფასებაც მისცა<sup>1</sup> მდგომარეობა არათუ გამოსწორდა, უფრო აქტიური ხასიათი მიიღო.

დღევანდელ ქართულში რატომღაც უცხოური ენის წამხედურობით, რადგან ძველი ქართულის ტრადიციების აღდგენას ვერ დავაბრალებთ (საეჭვოა, რომ ეს გაეთვალისწინებინათ), ხშირად ვხვდებით აბრებზე მიწერილ თუ პრესაში დაბეჭდილ ფუძის სახით წარმოდგენილ სიტყვებსა თუ შესიტყვებებს, სათაურებსა თუ სახელწოდებებს.

ვნახოთ მაგალითები:

**აის-ვოჩ**<sup>2</sup> – **ice-wotch** (რუსთაველის გამზ. 40); **აუტოქომ ჯაპან** (ბულაჩაურის ქ. 2); **აფინოქს** (მარკეტი); **ბარბექიუ ქიჩენ** (პეკინის ქ. 4); **ბორუსან** (ამერიკის საელჩოსთან); **ელეგანტ რუმ** (ჭავჭავაძის გამზ. 34); **ენზა ჰოუმ** (მაღაზია აღმაშენებლის ხეივანში); **ესთეტიქ ქორნერ** (ბულაჩაურის ქ. 2); **ვენდის** (კვების ობიექტი ტექნიკური უნივერსიტეტის I კოპუსის გვერდით); **ვოგვ** (პეკინის ქ. 5); **ნაით ჰაუს** (მარშალ გელოვანის გამზირზე); **კელეზეკ** (აღმაშენებლის ხეივანი); **ლავ რეფაბლიქ – LXOVE REFABLIC** (რუსთაველის გამზ. 20); **ლითლ ვან** (ჭავჭავაძის 9); **ლოფთ ჰოსელ – LOFT HOSEL** (რუსთაველის გამზ. 36); **ლორის – LORIS** (რუსთაველის გამზ. 26, სუნამოები); **მისტერ ქუუქ** (ლესია უკრაინკას ქ. 5); **ნექსტ** (ბიზნესცენტრი ჭავჭავაძის გამზირზე); **ოფენ დოორ** (წერეთლის გამზირზე); **პლაზა**

<sup>1</sup> ნ. ჭუმბურიძე, „პიერ რიმარ თბილისშია?“, გაზ. „ბურჯი ეროვნებისა“ 1995 წ., N4.

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები, სახელწოდებები ქართულში ერთად უნდა დაიწეროს, რადგან ერთ სახელს, ოდენობას წარმოადგენს. მას ორსიტყვიანი კომპოზიტის ან შესიტყვების გაგება არ გააჩნია.

**ჰოლინ;** რეფრემ (კანდელაკის ქ. 7); **სკინ ქეარ (SKINCARE<sup>3</sup>)** პუშკინის ქ. 3); **სპარ** (მარკეტი თბილისის არაერთ უბანში); **სუპერ** (მარკეტი სპორტის სასახლის წინ); **ფლაუნგენტაინ** (წერეთლის გამზირზე); **შაურმა ჰაუს** (სააკადის მოედანი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის წინ); **ჰოლიდეი ინ** (სასტუმრო აჭარა); **ჰოლი ქიდს** (ჭავჭავაძის გამზ. 31). ჩამონათვალს აღარ გავაგრძელებთ...

თუ სხვა ქვეყნების მაგალითებს მივბაძავთ, არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს უცხოური სახელწოდებები უცხოურადვე დაწეროთ. თუ მაინცდამაინც დაწესებულება უცხოელებისთვისაა განკუთვნილი, ქართულის შემდეგ დაიწეროს (უფრო მომცრო ასოებით) როგორც მასესხებელ ენაშია. აი, რაც შეეხება ქართულად გაფორმებას, ყველა შემთხვევაში ქართული ასოებით დაწერილი სახელწოდებები წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სახელობითი ბრუნვით, ანუ -ი ბრუნვისნიშნის დაბოლოებით: **აისვოჩი, აუტოქომ ჯაპანი, აფინოქსი, ვენდისი, ლორისი, ნექსთი, სპარი, სუპერი, ფლაუნგენტაინი...**

ამ პროცესის მაგალითის მიმცემი და საფუძვლის დამდებია ქართული პრესა. ამიტომაცაა, რომ დარღვევების ნაკლებობას არც აქ ვუჩივით. ეგ კი არა, ბეჭდვით მედიაში სხვა ბრუნვების უგულებელ-ყოფის არაერთ შემთხვევასაც ვაწყდებით:

„ვიცი, რომ თქვენი ვალია, ყველა შეამოწმოთ. ნახვამდის, **შერიფ...**“; „ვიმღერე **„ფოლენ“**... რომელსაც ალიშეთი ასრულებს...“; „კინოეკრანებზე გამოვიდა დამოუკიდებელი დრამა **„ფიქს“**, რომელიც... ნარკოტიკებს ეხება...“; „...მანამდე გვექონდა თურქეთიდან მიწვევა, ერთ-ერთი სერიალისათვის – **„დირილიმ“**, რომელიც რეიტინგებში პირველ ადგილზეა.“; „ჟურნალმა **„ფიფლ“** მსოფლიოს 50 ლამაზ ქალს შორის ჯულია რობერტს ულამაზესად დაასახელა“; „ჰოლივუდის ორ ფილმში გამოჩნდა – **„ჰოლიდეი ინ მეხიკო“** და **„იზი თუ ვედ“**; „...როკჯგუფს კი **„ზი მინთს“** („ზი მინთს“ – ინგლ. წუთები) ჰქვია“; „რიჩარდ რაიტმა და ნიკ ნეისონმა ალტერნატიული მუსიკალური მიმართულების ჯგუფი შექმნეს – **„სიგმან“**; „...მათ მიუძღვნეს სიმღერა **„ბექ თუ იუესესარ“**; „ვალმერთებ **„სთარ თრექს“**; „...გაიმართება კონცერტი: ვილი **ნელსონ** და მეგობრები“...

შესაბამისად უნდა ყოფილიყო: ვილი **ნელსონი**; ნახვამდის, **შერიფო**; ვალმერთებ **„სთართრექსს“**, ჟურნალმა **„ფიფლმა“**...

ამ პრინციპს თუ მივყვებით, უნდა ვწეროთ: დიდი პოპულარობით სარგებლობდა **„ბიტლზ“**; უამრავმა მაყურებელმა ნახა სულისშემძვრელი ფილმი **„ტიტანიკ“**; ფრანგმა ბიზემ შექმნა უკვდავი **„კარმენ“**; უილიამ შექსპირმა დაწერა: **„ჰამლეტ“**, ჯეკ ლონდონმა – **„მარტინ იდენ“**, თომას მანმა – **„ბუდენბროკ“**, დოსტოევსკიმ – **„იდიოტ“**... საინტერსოდ გაიჟღერებდა არა?

ჩამოთვლა შორს წავიყვანს. აღსანიშნავია, რომ იშვიათად ქართულად გაფორმებული ბრუნვიანი და თანდებულდართული სახელწოდებებიც გვხვდება:

„პოპულარულ კოსმოსაგაში **„ენტერპრაიზი“** ამ ვარსკვლავმფრენის მთავარი ინჟინერი განასახიერა“; „კინოკომპანია **„იუნივერსალ ფიქჩერზი“** ადასტურებს“; **„აუთსაიდერი“** ანსამბლის სახელწოდებაა“; „როგორც **„ასოშეიტედ პრესი“** იუწყება... შერიფმა გადასცა მსახიობს პოლიციელის ნიშანი...“; „კომპანია **„ნიუ სთარი“** წარმოგვიდგენს“; „ნინო ცეციტიშვილის სამოდელო სააგენტოში **„ლუკს მოდელო“** ვმუშაობ“; **„ივ სენ ლორანი“** – დიზაინერული სახლი აწყობს ჩვენებას“; „ჯგუფი **„დაიარ სთრეითი“** როკ მიმდინარეობის წარმომადგენელია“; „2013 წელი ფარმაცევტული კომპანია **„ეგისი“-სთვის** საიუბილეო წელია“...

<sup>3</sup> საინტერესოა, რომ ინგლისურად ერთ სიტყვად დაწერილი სახელი ქართულად ორ სიტყვად გადმოაქვთ.

როგორც სტატიის დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ ძალიან დიდი ხნის წინ ქართულმა ენამ საჭიროდ ჩათვალა წრფელობითი ბრუნვის – ფუძის სახით – სახელების გამოყენებაზე უარის თქმა და სახელობითი ბრუნვის შემოღება.

მოვიყვანთ ამონარიდს ნ. ჭუმბურიძის ზემოთ დასახელებული სტატიიდან: „მსგავსი ფორმების შემოტანა სამწერლო ენაში ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედშიც სცადეს იმდროინდელი მოდერნისტული მიმართულების მწერლემ, მათ შორის გრიგოლ რობაქიძემ და კონსტანტინე გამსახურდიამ, მაგრამ მათი დიდი ავტორიტეტის მიუხედავად, ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა.“<sup>4</sup>

გავიმეორებთ, რომ სიტყვები ფუძის სახით (ანუ წრფელობითი ბრუნვით) გამოიყენებოდა, როცა სახელობითი ჯერ კიდევ არ არსებობდა, ხოლო ახალი ბრუნვის გაჩენის შემდეგ წრფელობითის აქტიურობა შემცირდა და თანდათანობით სრულიად გაქრა.

ამდენად, ყოვლად მიუღებლად და გაუმართლებლად მიგვაჩნია დამკვიდრებული წესების რევიზია და **უცხოური ენების წამხედურობით** განვლილი პროცესის უკან დაბრუნება – გაუფორმებელი სახით სახელწოდებების დაწერის მცდელობა.

---

<sup>4</sup> ნ. ჭუმბურიძე, „პიერ რიშარ თბილისშია?“, გაზ. „ბურჯი ეროვნებისა“ 1995 წ., N4